

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №8

დ. ლენტეხი.

24. 12. 2010წ.

2010 წლის 24 დეკემბერს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე – ვალოდია ქურასბედიანი, საკრებულოს დეპუტატები –ა. ქურასბედიანი, ი. ლიპარტელიანი, მ. ლიპარტელიანი, ე. გველეზიანი, ა. ონიანი, ს. ტვილდიანი, თ. გუგავა, გ. ლიპარტელიანი, ი. მეშველიანი, ზ. ონიანი, ზ. ჯანხოთელი, ვ. მუსელიანი, ს. მუკბანიანი. სულ 14 დეპუტატი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი რომან მუკბანიანი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ ვ. ქურასბედიანმა დღის 12 საათზე. სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაევალა საკრებულოს აპარატის უფროსს მ. ჩანქსელიანს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ.

/მომხ. ვ. ქურასბედიანი/

წინადადება დღის წესრიგში საკითხის ჩამატებაზე არ ყოფილა.

დღის წესრიგის დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე---14

წინააღმდეგი---0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარემ ვალოდია ქურასბედიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი---ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო

მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ. მომხსენებლმა აღნიშნა, რომ პროექტი „ თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ “ დამტკიცდა მიმდინარე წლის 8 დეკემბერს, მაგრამ ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღნიშნულ დებულებაზე გაკეთდა სამართლებრივი შენიშვნები, ამიტომ იგივე დადგენილების პროექტი დასამტკიცებლად გამოგვაქვს შესწორებული სახით:

დადგენილების პროექტის დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა

მომხრე---14

წინააღმდეგი---0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები წარმოდგენილი სახით.

დადგენილება №29 თან ერთვის.

საკრებულოს სხდომა დამთავრდა 13სთ 20წთ—ზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

/ვ.ქურასბედიანი/